

ზოგადი დებულებები

ამ დოკუმენტით საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ პირველად ყალიბდება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითადი მიზნები და საპროგრამო პრიორიტეტები. საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის 2006 წელი გარდამავალი პერიოდია, რომლის დროსაც უნდა მოხდეს მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობისა და პროგრამირების ახალი სისტემის საბოლოო დანერგვა და აპრობირება. ამავე დროს დაიწყება საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური გადართობა, რომელიც მიზნად ისახავს გადაცემებისა და გავრცელების ხარისხის გაუმჯობესებას. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ეს დოკუმენტი შემუშავებულია 2006 წლისთვის და მისი მიზანია წარმოაჩინოს საბჭოს ხედვა საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითადი ფასეულობების და განვითარების მიმართულებების შესახებ გარდამავალი პერიოდისთვის. საზოგადოებრივი საბჭოების ჩამოყალიბების შემდეგ საბჭოს ხედვის ეს პირველი ვარიანტი ფართე საზოგადოებრივი განხლვის საგანი უნდა გახდეს და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს მაუწყებლის განვითარების სამწლიანი პროგრამა, რომლის შემადგენელი ნაწილიც იქნება ამავე პერიოდისთვის შემუშავებული პროგრამული პრიორიტეტები. ამავე მიზანს ემსახურება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2006 წლისთვის დაგეგმილი საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარებაც.

ამავე დროს ითვალისწინებს რა მიმდინარე ეტაპზე საზოგადოებრივი მაუწყებლის რეალური ფინანსური და მატერიალური რესურსების დადგენის აუცილებლობას, საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა საჭიროებს ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებას მიმდინარე პროგრამების თაობაზე. ეს დოკუმენტი საშუალებას უტოვებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს და მაუწყებლის ადმინისტრაციას არსებული ვითარებიდან და რესურსებიდან გამომდინარე მიიღონ გადაწყვეტილებები კონკრეტული პროგრამების ფორმატისა და მომზადების წესის შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს საპროგრამო პრიორიტეტებს საზოგადოებრივი ტელევიზიის ორი არხის, რადიოს სამი არხის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდისთვის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზნები და ამოცანები

საზოგადოებრივი მაუწყებელი ეფუძნება დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. მისი ჩამოყალიბების ძირითადი მიზანია, შექმნას და

საზოგადოებისთვის მისაწვდომი გახადოს მაღალი ხარისხის ტელე- და რადიოპროგრამები, რომლებიც თავისუფალი იქნება როგორც მიმდინარე პოლიტიკური, ისე კომერციული ინტერესების ზეწოლისგან, ღიად და გაწონასწორებულად გამოხატავს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა პოზიციას და საშუალებას მისცემს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს, უფრო თვალსაჩინო გახადოს თავისი მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში. ამ გზით საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების და ინსტიტუტების დამკვიდრებას, ქვეყნის სამოქალაქო ინტეგრაციას, კარგად ინფორმირებული და სამოქალაქო აქტივობაზე ორიენტირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი მაუწყებლობის პრიორიტეტული ამოცანებია:

ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებზე საზოგადოების ადექვატური ინფორმირება

ქვეყანაში არსებული ინტერესების, ღირებულებების, შეხედულებების მრავალფეროვნების წარმოჩენა, საზოგადოებრივი დიალოგისა და დისკუსიის ხელშეწყობა

სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილისთვის ადექვატური ცოდნის მიწოდება მეცნიერების, ისტორიის, საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა დარგში

თანამედროვე და კლასიკური ხელოვნების მაღალი ხარისხის ნიმუშების საზოგადოებისთვის მიწოდება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგიული მიმართულებები 2006 წლისთვის

2006 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებელი თავის საქმიანობას წარმართავს ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით:

დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელისშეწყობა:

ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სარწმუნო, მრავალმხრივი და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მომხმარებელს, რათა ინფორმირებულ მოქალაქეს გაცნობიერებული არჩევანის საშუალება ჰქონდეს. დებატების გზით მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების ფართო მონაწილეობას მის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტაში.

საზოგადოებისთვის კულტურული ფასეულობების მიწოდება:

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს, როგორც მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყნის, მსოფლიოს ცივილიზებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრად წარმოჩენა. კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან ერთად მაუწყებელმა უნდა შექმნას შემოქმედებითი გარემო ახალი ტალანტების გამოსავლენად.

საზოგადოებრივი განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა:

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საქართველოს მოსახლეობას უნდა მიაწოდოს შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ადეკვატური იქნება სხვადასხვა ასაკისა და ინტერესების მქონე აუდიტორიისათვის, რაც მოემსახურება საზოგადოების ცოდნისა და ერუდიციის ამაღლებას.

მრავალფაროვნებისა და სოციალური ინტეგრაციის ღირებულების დამკვიდრების ხელისშეწყობა:

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა წარმოაჩინოს საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნება და ხელი შეუწყოს სოციალური ერთიანობისა და ტოლერანტობის ატმოსფეროს შექმნას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროგრამო პრიორიტეტები 2006 წლისთვის

2006 წლისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტული ამოცანაა საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღება და სიგნალის გავრცელების სისტემის გაუმჯობესება. პროგრამული მხრივ 2006 წლის პრიორიტეტული ამოცანაა საზოგადოების ინფორმირების ფუნქციის განხორციელება. აქედან გამომდინარე, ამ წელს აქცენტი გაკეთდება საინფორმაციო პროგრამების გაძლიერებასა და გადახალისებაზე.

საინფორმაციო პროგრამების ქვეშ იგულისხმება ახალი ამბების პროგრამები, საზოგადოებრივი დებატების ამსახველი პროგრამები, საგამოძიებო ჟურნალისტიკის და ანალიტიკური პროგრამები. სამეურვეო საბჭო საჭიროდ მიიჩნევს საზოგადოებრივი მაუწყებლის რესურსული ბაზის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, საინფორმაციო პროგრამების ამ სხვადასხვა ფორმატის განვითარებას, თუმცა პირველი რიგის ამოცანად ახალი ამბების პროგრამათა ხარისხის მკვეთრ ამაღლებას თვლის.

საინფორმაციო პროგრამების შექმნა შემდეგ ზოგად პრინციპებს უნდა დაეყრდნოს:

აუდიტორიის მოთხოვნების გათვალისწინება. საინფორმაციო პოლიტიკა საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორიის მოთხოვნების იდენტიფიცირებას და მათ შესაბამისად მოქმედებას გულისხმობს. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა უნდა იზრუნოს აუდიტორიის მოთხოვნების შესწავლის სანდო მეთოდების გამოყენებაზე.

საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თემების აქტიური მოძიება. ახალი ამბების პროგრამებში უნდა შემცირდეს ე. წ. პროტოკოლური ჟურნალისტიკა, როდესაც კორესპონდენტები მხოლოდ მიმდინარე ღონისძიებების (ძირითადად პრეს-კონფერენციების) გაშუქებით არიან დაკავებული და აქტიურად არ ეძებენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს.

პლურალისტურობა. საინფორმაციო პროგრამებმა უნდა უზურუნველყოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნების მოძიება და წარმოჩენა. საინფორმაციო გადაცემებში ახალი ამბებისა და მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას დაცული უნდა იქნას ბალანსი სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პირის საქმიანობის ასახვის თვალსაზრისით.

საერთოეროვნული გეოგრაფიული და ეთნოკულტურული მომცველობა. საინფორმაციო პროგრამები არ უნდა იყოს ცალმხრივად მიმართული დედაქალაქში მიმდინარე პროცესების ასახვაზე, ის ქვეყნის ყველა ნაწილის, მისი ყველა სოციალური და ეთნოკულტურული ჯგუფის ცხოვრების და პრობლემების შესახებ უნდა იძლეოდეს ცოდნას.

პერიოდულობა. საჭიროა ეტაპობრივად გაიზარდოს ახალი ამბების პერიოდულობა, რაც ხარისხის ზრდასთან ერთად გაზრდის არხის კონკურენტუნარიანობას.

საინფორმაციო პროგრამების გამართვის პარალელურად და სამეურვეო საბჭოს მიერ პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველზე უნდა დაიწყოს მუშაობა თემატურ გადაცემებზე. თემატური გადაცემები შესაძლებელია მომზადდეს როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა რესურსებზე დაყრდნობით, ისე გარე მწარმოებლის (ფიზიკური და იურიდიული პირის) მიერ. გარე მწარმოებელთან ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს. ტენდერებისა და კონკურსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია დამკვირვებელთა სახით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მოწვევა, რომლებიც სატენდერო და საკონკურსო კომისიების მხრიდან შემუშავებული პრინციპებისა თუ კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ინფორმაციას მიაწვდიან სამეურვეო საბჭოსა და გენერალურ დირექტორს.

თემატური გადაცემების ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად უნდა იქცეს შემეცნებითი და დოკუმენტური ფილმებისა და ტელე-რადიო პროგრამების წარმოება.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, პრიორიტეტულია შემდეგი მიმართულებები:

პოლიტიკური ცხოვრება – მაუწყებლობა პროპორციულად უნდა აშუქებდეს საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი პოლიტიკური დაჯგუფების საქმიანობას. მაუწყებლობამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებას მიიღოს ინფორმაცია ამ თუ იმ საკითხებზე პარტიებისა და ცალკეული პოლიტიკოსების პოზიციისა და მოსაზრებების შესახებ.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი რეფორმები – მაუწყებლობა უნდა აშუქებდეს საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესს. საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს შემდეგ სფეროებში მიმდინარე რეფორმებს:

განათლება და მეცნიერება

თავდაცვა და უსაფრთხოება

კულტურა

ეკონომიკა

პრივატიზაცია

სასამართლო ხელისუფლება

ჯანდაცვა და სოციალური სფერო

დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების გაძლიერება

საერთაშორისო სტრუქტურები და მათში საქართველოს ინტეგრაცია

რეფორმების გაშუქებისას უნდა წარმოჩინდეს როგორც მიღწევები, ისე არსებული პრობლემები. თანაბრად უნდა გაშუქდეს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ არსებული ძირითადი მოსაზრებები და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასებებს.

კულტურა – მაწყებლობამ ფართოდ უნდა გააშუქოს საქართველოში მიმდინარე კულტურული მოვლენები. ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც კლასიკურ ხელოვნებას, ისე თანამედროვე ხელოვნებას და საქართველოში მცხოვრები ერების ხალხურ შემოქმედებას.

ეროვნული და რელიგიური უმცირესობები – აუცილებელია მაუწყებელი პროპორციულად აშუქებდეს საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეროვნული და რელიგიური ჯგუფების პრობლემებს, კულტურული თუ რელიგიური ცხოვრების სიახლეებს.

ეკონომიკა და ბიზნესი – საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გააშუქოს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებები და ეკონომიკისა და ბიზნესის სიახლეები. ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც “ცხელ ამბებს”, ისე საქართველოში ბიზნესის მდგომარეობას, პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. სასურველია ეკონომიკურ და ბიზნეს სფეროსთან

დაკავშირებული სამეცნიერო საქმიანობის გაშუქება. გარკვეული დრო უნდა დაეთმოს საერთაშორისო ეკონომიკურ სიახლეებს.

სპორტი – მაწყებლობამ უნდა გააშუქოს საქართველოში მიმდინარე სპორტული მოვლენები. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საქართველოში გავრცელებულ და პოპულარულ სპორტის სახეობებს. უნდა გაშუქდეს ამ სახეობებში მიმდინარე საქართველოს პირველობები და ქართველი სპორტსმენების მონაწილეობა საერთაშორისო, აგრეთვე საქართველოში მიმდინარე შეჯიბრებებში.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყურადღება უნდა დაუთმოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტს.

საერთაშორისო მოვლენები – საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავის პროგრამებში ადგილი უნდა დაუთმოს გლობალური მოვლენების გაშუქებას. მოვლენები უნდა გაანალიზდეს უპირველეს ყოვლისა მათი საქართველოზე გავლენის თვალსაზრისით. ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიახლეებზე, არამედ კულტურის, სპორტის, მეცნიერების და სხვა სფეროებზეც.

საზოგადოებრივი ცხოვრება – საზოგადოებრივი მაუწყებელი ყურადღებით უნდა აშუქებდეს საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ ცხოვრებას. უნდა შუქდებოდეს საზოგადოებაში არსებული ჯგუფების (სოციალური, ასაკობრივი, გენდერული) საქმიანობა და პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურად დაუცველი ფენების პრობლემებს და მათი მოგვარებისკენ გადადგმული ინიციატივების თუ კონკრეტული ნაბიჯების გაშუქებას.

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ახალ საზოგადოებრივ და სამოქალაქო ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყანაში ტოლერანტობის, ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას.

ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც საბავშვო, ასევე მოზარდებისათვის განკუთვნილი გადაცემების მომზადებას. სასურველია ბავშვებისა და მოზარდებისთვის სამოქალაქო და სამართლებრივი განათლების შეტანის ხელისშემწყობი გადაცემების დამუშავება.

მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების და სერიالების, ასევე სხვა ტიპის გადაცემების საზღვარგარეთ შეძენისას სასურველია ზემოთაღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინება.

სამეურვეო საბჭო საჭიროდ თვლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის რესურსული ბაზის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ყველა ამ თემატური პრიორიტეტის გათვალისწინებას, თუმცა პირველი რიგის ამოცანად საბავშვო და საყმაწვილო გადაცემების, შემეცნებითი და კულტურული პროგრამების შემუშავებას მიიჩნევს.